

  ახლადარჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ დიპლომატებს ხვდება. შეხვედრები ძირითადად გაცნობითი ხასიათისაა, გარდა ამისა, მასზე ინაუგურაციასა და ვილნიუსის სამიტთან დაკავშირებითაც მსჯელობენ.

იგი უკვე შეხვდა აზერბაიჯანის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს საქართველოში აზერ თოფიქ ოღლუ ჰუსეინს.

აზერბაიჯანის ელჩის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციას აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი დაესწრება.

„ვისაუბრეთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებზე, ეს კავშირები არის კეთილმეზობლური და სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ურთიერთობები უფრო მეტად გაღრმავდება. რაც შეეხება ინაუგურაციის ცერემონიალს, აზერბაიჯანიდან მას პრემიერ-მინისტრი დაესწრება და პირადად მიულოცავს გამარჯვებას ახალ პრეზიდენტს“ - განაცხადა აზერ თოფიქ ოღლუ ჰუსეინმა.

გიორგი მარგველაშვილი დღესვე საფრანგეთისა და გერმანიის ელჩებს შეხვდება.